



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
მდივნის

**განკარგულება №02-357/2017**

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო  
ორგანიზაციის „ქართველ სომეხთა უფლებათა დაცვის ასოციაცია“ დამკვირვებლების  
რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წელი 18 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

**მუხლი 1.** საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვათ დამკვირვებლად რეგისტრაციაზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ქართველ სომეხთა უფლებათა დაცვის ასოციაცია“ წარმომადგენლებს ვინაიდან:

1. ანდრანიკ ფაშაიან - დანიშნულია საარჩევნო სუბიექტის ბლოკი „**ბაქრაძე, უგულავა -ევროპული საქართველო**“ მიერ წარმომადგენლად **№40 ახალქალაქის** საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ **№5** საუბნო საარჩევნო კომისიაში;
2. მიტუმ არუთინიან - დანიშნულია საარჩევნო სუბიექტის „**ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი**“ მიერ წარმომადგენლად **№40 ახალქალაქის** საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ **№46** საუბნო საარჩევნო კომისიაში.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი